გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2015 წლის 26 თებერვალი

ქ. გარდაბანი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს შემდეგნაირად:

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
3	გამგებლის მოადგილე	1300
4	საკრებულოს აპარატის უფროსი, გამგეობის სამსახურის უფროსი	1000
5	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
6	სამსახურის უფროსის მოადგილე, თვითმმართველ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი	900
7	საკრებულოს, გამგეობის განყოფილების უფროსი	810
8	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე, გამგებლის თანაშემწე	790
9	მთავარი სპეციალისტი	560
10	წამყვანი სპეციალისტი	545
11	უფროსი სპეციალისტი	530
12	სპეციალისტი	515

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №34 დადგენილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.